



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
18 ნოემბერი, 2019

ეკონომიკა

საქსტატი მშპ-ის დაანგარიშების მეთოდოლოგია შეცვალა. 2019 წლის 15 ნოემბრიდან საქსტატი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ საერთაშორისო სტანდარტებზე (SNA 2008) გადავიდა, რამაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება გამოიწვია. ცნობისთვის, ამ ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა ევროკავშირის ქვეყნებმა 2014 წლიდან დაიწყეს, რომელთა რიგებს 2015 წლიდან შეუერთდა სომხეთი, თურქეთი, უკრაინა და ბელარუსი.

SNA 2008-ის მიხედვით, საქართველოს ნომინალური მშპ 2018 წელს 44.6 მლრდ ლარია (17.6 მლრდ აშშ დოლარი), რაც 8.6%-ით მეტია ძველი მეთოდოლოგიით დაანგარიშებულ მშპ-ზე. შესაბამისად, 2018 წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 4,722 აშშ დოლარამდე 4,346 აშშ დოლარიდან. ასევე დაზუსტდა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი, რომელმაც 2018 წელს 4.8% შეადგინა (წინასწარი შეფასება 4.7% იყო). ნომინალური მშპ-ის ღირსის ზრდამ ძირითადი მაკრო ინდიკატორების გაუმჯობესება გამოიწვია, რაც გულისხმობს სახელმწიფო ვალის, ფისკალური დეფიციტის და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მაჩვენებლების გაუმჯობესებას მშპ-თან მიმართებაში.

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის ოქტომბერში ექსპორტი წლიურად 4.5%-ით გაიზარდა და 316.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო იმპორტი 2.1%-ით შემცირდა და 848.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 5.6%-ით შემცირდა 531.5 მლნ აშშ დოლარამდე. ჯამურად, 2019 წლის პირველ ათ თვეში, ექსპორტი 10.4%-ით გაიზარდა და 3.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 3.1%-ით შემცირდა და 7.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 10.8%-ით შემცირდა 4.3 მლრდ აშშ დოლარამდე. საგარეო ვაჭრობის დეტალური სტატისტიკა 2019 წლის 19 ნოემბერს გამოქვეყნდება.

ტურიზმი: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წლის ოქტომბერში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა წლიურად 8.8%-ით გაიზარდა და 0.67 მლნ ვიზიტორი შეადგინა. ეს ზრდა განაპირობა, როგორც ტურისტების რაოდენობის (+7.8% წ/წ, მთლიანი ვიზიტების 66.0%), ასევე ერთდღიანი ვიზიტების (+10.9%) მატებამ. ძირითადი ბაზრებიდან, ვიზიტები წლიურად გაიზარდა სომხეთიდან (+12.7%), აზერბაიჯანიდან (+7.7%), თურქეთიდან (+16.9%), ისრაელიდან (+56.9%) და უკრაინიდან (+22.5%). ამასთან, ვიზიტორების კლება გაგრძელდა რუსეთიდან (-15.2%) და ირანიდან (-34.5%). ჯამურად, 2019 წლის პირველ ათ თვეში სულ 6.6 მლნ (+6.2%) საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა, საიდანაც ტურისტულმა ვიზიტებმა 4.4 მლნ (+6.0%) შეადგინა. ამავე პერიოდში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა სეზონის მიხედვით 2.8 მლრდ აშშ დოლარი (+0.9% წ/წ).


ფულადი გზავნილები: 2019 წლის ოქტომბერში ფულადი გზავნილების მოცულობამ 153.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (+11.5% წ/წ). ფულადი გზავნილები წლიურად გაიზარდა უმეტესი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: იტალია (+24.6%), საბერძნეთი (+3.9%), აშშ (+6.1%), ისრაელი (+13.3%) და თურქეთი (+6.5%). ამასთან, კლება კვლავ დაფიქსირდა რუსეთიდან (-4.5%). ჯამურად, 2019 წლის პირველ ათ თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 8.8%-ით გაიზარდა და 1.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.9%	4.8%	4.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	10,511	11,485	12,417
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,062	4,359	4,722
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.8%	6.7%	1.5%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	3.0	3.3
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	12.4%	8.1%	6.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.9%	2.7%	2.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.3%	39.4%	38.9%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB სტაბილური განახლებული ოქტომბერი-2019	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2019	FitchRatings BB სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2019
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 2.4 მლრდ ლარის (794.8 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 12 ნოემბერს 2-წლიანი 70 მლნ ლარის (23.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.281% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2019 წლის 26 ნოემბერს, სადაც 5-წლიანი 70 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 12 ნოემბერს 6-თვიანი 70 მლნ ლარის (23.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.971% შეადგინა.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

ემისიის კალენდარი, ნოემბერი 2019

თარიღი	მოცულობა, მლნ ლარი	ვადანობა
26-ნოემბერი-19	70	5 წელი


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 4.48%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 105.10 (+0.96% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 95.10 (+0.10% წინა კვირასთან შედარებით), 7.47%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.41 (+0.13% წინა კვირასთან შედარებით), 3.57%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 109.85 ფასად (+0.19% წინა კვირასთან შედარებით), 3.80%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.76 (-0.09% წინა კვირასთან შედარებით), 2.65%-იანი შემოსავლიანობით.


ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	105.76	2.65	92.02
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	109.85	3.80	218.67
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/B+/-	104.41	3.57	190.73
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	Jun-20	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B+/-	105.10	4.48	291.74
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	104.41	10.16	829.71
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B+/B2	95.10	7.47	590.07
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/-/B1	111.29	7.89	620.53
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B+/-	103.23	4.95	338.96
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-	101.96	10.53	862.09

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	11.00%	Dec-21	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.98	7.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.64	7.25	n/a
GLC 08/20	US\$	10	7.00%	Aug-20	B+/-/B1	101.04	5.63	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/-/B1	99.25	7.00	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/-/B1	100.62	7.25	n/a
CRYSTAL 12/19	GEL	10	12.00%	Dec-19	B-/B-	100.14	11.75	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	11.50%	Feb-21	B-/B-	100.84	11.75	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 08/22	GEL	34	11.00%	Aug-22	B+/-/B1	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	10.50%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.00%	Sep-21	B-/B-	101.57	14.00	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	105.76	2.65	92.02
Armenia	US\$	500	6.000%	Sep-20	B+/-/Ba3	102.46	3.09	123.80
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	99.76	2.96	130.36
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	107.00	4.55	296.26
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	106.70	2.42	79.77
Russia	US\$	3,500	5.000%	Apr-20	BBB/BBB-/Baa3	101.38	1.87	3.40
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B1	103.03	3.33	167.47
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/Caa1	105.06	4.75	311.55

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 14.92 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.54% წინა კვირასთან შედარებით და +9.30% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 411 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.19 – 15.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 63 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 9.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.56% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 242 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.80 – 10.42 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 30 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.48% წინა კვირასთან შედარებით და +7.26% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 215 ათასს გადააჭარბა, GBP 13.20 – 14.14 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 40 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), უცვლელი წინა კვირასთან შედარებით და -11.76% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 235 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.70 – 1.93 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 29 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	14.92	734	-8.7%	-6.5%	8.4%	5.90x	5.64x	1.40x	1.11x
TBC	TBC	GBP	13.30	732	-20.0%	-19.2%	-12.6%	5.79x	5.26x	1.06x	0.92x
Halyk Bank	HSBK	US\$	13.25	3,894	16.2%	20.5%	28.0%	5.02x	4.86x	1.17x	1.04x
VTB Bank	VTBR	US\$	1.45	9,396	32.5%	8.2%	30.9%	3.82x	3.54x	0.59x	0.44x
Akbank	AKBNK	TRY	7.68	39,936	33.8%	24.3%	30.5%	7.22x	5.07x	0.76x	0.67x
Garanti	GARAN	TRY	9.95	41,790	30.4%	27.2%	25.0%	6.31x	4.37x	0.76x	0.68x
Isbank	ISCTR	TRY	6.27	28,215	24.4%	54.8%	38.4%	4.81x	3.90x	0.51x	0.45x
PKO	PKO	PLN	38.21	47,763	2.8%	-5.2%	-3.2%	10.76x	10.33x	1.14x	1.10x
PEKAO	PEO	PLN	104.00	27,297	2.1%	-0.9%	-4.6%	12.13x	10.38x	1.16x	1.12x
Millennium	MIL	PLN	5.85	7,096	-33.4%	-38.6%	-34.0%	9.90x	8.14x	0.78x	0.72x
Mbank	MBK	PLN	388.40	16,444	-0.9%	-2.4%	-8.4%	13.19x	12.02x	1.00x	0.94x
BRD	BRD	RON	14.34	9,994	28.0%	7.3%	25.8%	7.62x	8.56x	1.32x	1.30x
Banca Transilvania	TLV	RON	2.47	12,857	26.9%	12.9%	33.2%	8.88x	9.16x	1.57x	1.46x
OTP	OTPD	USD	21.20	11,872	-5.4%	6.5%	8.2%	9.07x	9.05x	0.80x	0.70x
Komerční	KOMB	CZK	782.50	148,714	-8.3%	-13.9%	-7.6%	9.91x	10.45x	1.40x	1.35x
საშუალო								8.02x	7.38x	1.03x	0.93x
მედიანა								7.62x	8.14x	1.06x	0.94x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	9.90	364	2.1%	-16.3%	-3.0%	14.18x	11.11x	1.00x	0.93x
Tinc Comm	TINC	EUR	14.10	385	18.5%	17.5%	19.5%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.07	18,506	25.8%	18.6%	20.6%	4.64x	3.82x	0.54x	0.48x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	38.40	578	13.3%	10.3%	14.5%	19.32x	16.52x	1.28x	1.21x
Eurazeo	RF	EUR	62.10	4,891	-1.8%	-1.3%	5.5%	13.77x	11.60x	0.89x	0.84x
Carlyle Group	CG	USD	28.40	3,143	36.3%	52.9%	80.3%	16.45x	5.62x	3.06x	1.90x
საშუალო								13.67x	9.73x	1.35x	1.07x
მედიანა								14.18x	11.11x	1.00x	0.93x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		EV/EBITDA	
								2019F	2020F	2019F	2020F
GHG	GHG	GBP	1.80	237	-21.7%	-23.4%	-11.8%	18.88x	12.20x	7.40x	6.27x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	82.70	8,270	-1.4%	10.1%	2.7%	20.47x	18.38x	14.64x	13.23x
Fortis	FORH	INR	143.80	108,563	12.0%	0.0%	2.3%	1.79x	1.61x	6.69x	6.77x
Raffles	RFMD	SGD	1.00	1,828	-3.8%	-7.4%	-9.1%	30.19x	30.37x	19.46x	18.63x
IHH	IHH	MYR	5.35	46,941	-3.1%	16.3%	-0.7%	45.74x	37.04x	15.86x	13.83x
Bangkok Chain	BCH	THB	16.40	40,897	-5.2%	-12.3%	-1.8%	33.66x	29.96x	18.43x	16.76x
Netcare	NTC	ZAR	17.64	25,611	-15.5%	-27.5%	-33.3%	11.98x	11.21x	7.27x	6.74x
Life Healthcare	LHC	ZAR	24.49	35,935	-2.6%	-2.6%	-7.2%	21.34x	15.62x	8.53x	7.58x
Mediclinic	MDC	GBP	4.01	2,959	18.7%	16.6%	24.4%	14.85x	15.34x	9.44x	8.85x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,397.25	194,393	20.8%	10.7%	11.0%	68.07x	48.75x	21.22x	16.14x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	0.91	3,878	-4.7%	-16.2%	-13.0%	20.73x	19.20x	10.15x	9.55x
NMC	NMC	GBP	23.68	4,944	-8.4%	-34.3%	-13.5%	20.09x	15.49x	12.91x	10.95x
საშუალო								25.65x	21.26x	12.67x	11.27x
მედიანა								20.60x	17.00x	11.53x	10.25x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოაზზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge